უმე-ს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ახალი მეთაური და წმინდა სინოდის მუდმივი წევრი დაინიშნა

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა, რომლის სხდომაც 2021 წლის 17 აგვისტოს შედგა კიევ-პეჩერის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ლავრაში კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტის უნეტარესი ონოფრეს თავმჯდომარეობით, გადაწყვეტილება მიიღო დაენიშნა საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ახალი თავმჯდომარე და წმინდა სინოდის მუდმივი წევრი.

სინოდმა მიიღო რიგი საკადრო გადაწყვეტილებები იმასთან დაკავშირებით, რომ 2021 წლის 18 ივნისს ღვთივგანისვენა მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ლუგანსკისა და ალჩევსკის მიტროპოლიტმა მიტროფანემ, საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ და წმინდა სინოდის მუდმივმა წევრმა.

საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ახალ თავმჯდომარედ და წმინდა სინოდის მუდმივ წევრად დანიშნულ იქნა მაღალყოვლადუსამღვდელოესი ჩერნოვცისა და ბუკოვინის მიტროპოლიტი

მელეტი.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური/

უმე-ს საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილების მასალებზე დაყრდნობით

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87884/